

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 39(46), 1999 წელი, მუხ. 190) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება

1. IX თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი IX
აპელაცია და კასაცია, საქმის წარმოების განახლება“.

2. დაემატოს შემდეგი შინაარსის 34² მუხლი:

„მუხლი 34². ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების დაუშვებლობა

ადმინისტრაციულ სამართალწამოებაში ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებასთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევა არ გამოიყენება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი